ოდელი და ცხოვრება“-ში ავტორის გატარებული აქვს ის აზრი, რომელიც არა ერთხელ გამოთქმულა ჩვენ მწერლობაში ჩვენი ახალთაობის შესახებ. ის ნაკლი, რომელიც ჩვენ ზემოთ მივიხსენიეთ, ამ მოთხრობაში უფრო ეტყობა ავტორს. მან აიღო საუკეთესო წარმომადგენელი ჩვენი განათლებული ახალთაობისა, ჩააყენა ცხოვრებაში, დაგვანახვა მისი სრული უძღვრება თავისი რწმენების განხორციელებაში და გულწრფელად დასაკნა: „ღირს კი ცხოვრება, როცა ამისთანა კაცებიც—ასეთები გამოვლენიან ხოლმე“-ო? რასაკვირველია, ფრიალ სამწუხაროა, თუ ჩვენი ახალთაობის საუკეთესო წარმომადგენლებიც კი ან ვერ ახორციელებენ ან არ ახორციელებენ თავის იდეალებს ცხოვრებაში და მხოლოდ საკუთარი კუქისათვის იწყებენ ხოლმე ზრუნვას; შეიძლება ასეთი აზრი ავტორისა სრული ქვეშაობრება იყოს, მაგრამ ეს ქვეშაობრება რომ უფრო სარწმუნო ყოფილიყო, რომ უკეთ ჩაენერგა ის ჩვენ გონებაში, მას უნდა აეღო მართლა საუკეთესო წარმომადგენელი ამ ახალთაობისა და უფრო გარკვევით, უფრო სრულათ, უფრო რელიგიურათ დაეხატა ის, მისი გამოვლენა ცხოვრებაში, ბრძოლა და დამარცხება. უამისათ კი ჩვენ არ შეგვიძლია, ბევრ მანასიძე ახალთაობის საუკეთესო წარმომადგენლათ მივიღოთ და მისი მაგალითით გულ გატეხილმა მთელ ჩვენ ახალთაობას სრული უიმედობის თვლით ვუქკირაოთ.

იმ ბევრს, რომელიც გატაცებული იყო სხვა და სხვა პატრიოსანი აზრებით, რომელსაც მიზნათ დაესახა, ხალხის კეთილდღეობისათვის შეეწირა მთელი თავისი სიცოცხლე, ჩვენ ვერ ვხედავთ, ჩვენ ვერ ვიცნობთ პირდათ, მას გვაცნობს პირველი კურსის სტუდენტი ვანო. პირველი კურსის სტუდენტს კი მარტო მწვანე მუნდირიც კი სიბრძნისა და მეცნიერების ემბლემათ მიანჩნია; გინწაზის შევიწროებული ატმოსფეროდან ის ერთბაშით გადადის სრულიად სხვა ცხოვრებაში, მას ენიჭება დიდი თავისუფლება, გული უბრწყინდება, პესსიმისტურია ბუნებისაც რომ ყოფილიყო, პირველ ხანებში სრული ოფტიმისტი ხდება და ხშირათ ხედავს მას, რაც ნამდვილათ არ არსებობს; მას ნაკლები მომზადება აქვს სხვის დასაფასებლათ და ამიტომ ხშირათ გადაქარბებულიათ აქვს წარმოდგენილი თავისი უფროსი ამხანაგის ღირსება, მით უმეტეს თუ უკანასკნელი ხშირათ ხმარობს პტყელ-პტყელ სიტყვებს,

სამეცნიერო ტერმინებს, მომავალ მოლოწიეთ მოაქვს თავი. თუ ყოველივე ამას მივიღებთ მხედველობაში, ავტორის რეკომენდაციას: ბევანი ახალთაობის საუკეთესო წარმომადგენელიაო, ცოტა ეტვის თვლილად ვუყურებთ. ხოლო გქვს გარეშეა, რომ ბევანი-სტუდენტი საიმიერო ახალგაზრდაა. მის მიზნათ დაუსახავს: ხალხს ემსახუროს, საზოგადოებრივ ცხოვრებას გამოადგეს რაიმე; ასეთ დიად მიზანს ის საზრიანათ უყურებს, ცდილობს, აღიკურვოს მეცნიერების მძლავრი იარაღით და შეისწავლოს თავისი სამშობლოს ისტორია და ლიტერატურა; მას პატივს სცემს მთელი ამხანაგობა, ბევრი ცდილობს მას წაბძოს. ასეთი სტუდენტი ჩვეულებრივი არ არის, ის ჩვეულებრივზე მალადღას. გამოდის ბევანი ცხოვრებაში, რას აკეთებს ის მთელი ათი წლის განმავლობაში, ჩვენ არ ვიცით. ათ წელს შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ ბევანი ჩვეულებრივი აღმიანია, ის არა თუ ხალხს არ ემსახურება, აღარც უნდა, რომ ემსახუროს, მარტო თავის თავისთვის ზრუნავს და უბრალო სიბრძნულშიც კი აღარ ებადება გაჭირვებულისადმი: როცა ავსთყოფიან მიხიზომებ, უშალ იმას კითხულობს, რას მომიცემო და, თუ ქირა ეცოტავა, ფესსაც არ გადავამს. რომ ახალთაობის უმეტესობა არას აკეთებს, უმცირესობა ვერას აკეთებს და სულ ცოტა ნაწილი ვერ აკეთებს იმდენს, რამდენიც შეუძლია, ამას ჩვენ არ უარყვით, მაგრამ ავტორს უნდა დაენახვებია ჩვენთვის ბევანის ბრძოლა ცხოვრებასთან, მისი სულიერი ტანჯვა, ის მიზნები რაშიც მოუწყევია ის მის პატიოსან მიზანს. როგორ შეიძლება ბევანი, ის კარგი, თითოთ საჩვენებელი ბევანი, რომელიც ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში აპირებდა საკუთარი ბედნიერების, კმაყოფილების, ერთი სიტყვით ცხოვრების მიზანის მოპოვებას, როგორ შეიძლება ასეთი ბევანი უბრძოლველათ, უტანჯველათ, უტრყმლოთ დამორჩილებოდა ცხოვრებას?!). უამისოთ კი ბევანის გამოცვლა სრულებით გაუუგებარია.

მე განგებ ვეძებდი, მკითხველო, ყოველგვარ

1) აქ წარმოთქმულ აზრს მთლათ არ ვეთანხმებით. ბელეტრისტი სრულებით არ არის სასაკვედრო იმისთვის, თუ რატომ ეს დასურათა და არა ის. საქმე იმაშია თუ რაჩინათ და რა ხელოვნებით ხატავს იმას რის დახატვა მას მოუწყონენია. თვით ჩვენ რომ თემები თავზე ვახეიოთ,—ეს ძალან ზღრს წავიყვანდა. „ოდელი და ცხოვრება“ თავისივე სახელწოდებით აღნიშნავს მოთხრობის თემს. ავტორის სურდა წარმოედგინა ორი ერთი მეთრის მოწინააღმდეგე ხანა, ორი კონტრასტი და მით უფრო ნათელ ეყო დედა აზრი. მას სახეშიაც არ ჰქონებია შუა ხანებშიც აყურა, მაშინ შეიძლება მთელი ტომიც გამოუსულიყო და დედა აზრი კი მაინც ცხად არ განმდარიყო.

*) იხ. „კვლევი“ № 5.

ნაკლულევიანებას ბეგანში, ყოველ მცირე ნაკლსაც კი მოათხოვნი, რომ ამით ჩემი თავიც და შენც მენუჯეშებინე, მაგრამ რამდენიც უნდა ვინუგეშოთ თავი, ავტორის მიერ წამოყენებული ფაქტი ფაქტათვე რჩება. ჩვენ არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ახალთაობის საუკეთესო წევრნი ცხოვრებაში სრულიად გამოუსადეგარი ხდებოდნენ და უზნიშვნელოთ ვლიდნენ თავის ღღეს, მაგრამ ახალთაობის ის არ არის, რაც უნდა იყოს, ის არ აკეთებს მას, რისი ვაჭკობაც შეუძლია. იქნება მას არაფრის კეთება არ უნდა? იქნება მისი სიტყვები, საზოგადოებას უნდა ვემსახუროვო, ენის უშინაარსო როკვა იყოს მხოლოდო? იქნება ყველა ის პატიოსანი სურვილი, მისწრაფება, მიზანი, რომლებსაც ის ვეცხადებს, მარტო სხვისი და თავის თავის მოტყუება იყოს, ბაქიაობით ნათქვამი, გულწრფელობას მოკლებული? არა და არა. ახალთაობის უმეტესი ნაწილი არც ერთი ერის საუკეთესო ხანაშიც არ ყოფილა აქტიური მოქმედი საზოგადო ასპარეზზე და ამიტომ ამას ვერც ჩვენ მოვთხოვთ ჩვენ ახალგაზრდობას. ყველგან და ყველთის მხოლოდ მცირე ნაწილი მეთაურობდა საზოგადო საქმეს, დანარჩენი მას თუ უწყობდა ხელს; ახალთაობის ერთ ნაწილს ჩვენშიაც უნდა, საზოგადოებას ემსახუროს, ის გულწრფელი სურვილით არის ვატაცებელი ხალხს საზრუნელად მოუტანოს, სხვისთვის სამსახურში საზრიანათ დაუსხაავს მას ცხოვრების მიზანი, მაგრამ ცხოვრებაში ის ვერ ასრულებს მას, რაც სწავლია, ვერ მოაქვს იმდენი ნაყოფი, რამდენიც ნამდვილით შეუძლია. რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ ჩვენი ხალხი გონებრივით და ზნობრივით სუსტდება, გადაგვიარების გზას აღვია? იყო დრო, როცა რომელიმე ეპოქის შემომქმედლათ აღმაიანი მიანდლათ, მაგრამ ასეთი ბავშური რწმენის ნეტარნი დრონი წარვიდნენ, განქრენ, და ღღეს თანდათან ვრცელდება ის ქეშმარიტება, რომ ეპოქის ქნის აღამიანს; ხანდახან ზრუნვით განიხვიით თითქოს ამის წინააღმდეგ ვეუბნება ისტორია; ბშირათ მომხდარა, რომ საზოგადოებას შესამჩნევლათ წაუწვეია წინ თავისი ცხოვრება, მასსადამე ხალხს შეუქმნია ეპოქა; მაგრამ როცა ცოტა ღრმით ჩაუკვირდებლათ, დაინახავთ, რომ ცხოვრებაში იმდენათ მომზადებულა ნიადაგი, ისეთი პირობები განვითარებულა, რომ საზოგადოების, ერის მოქმედების განაყოფიერება შესაძლებელი გამხდარა. მოსკეთ ეს ნიადაგი, ეს ხელშემწყობი პირობები და მაშინ, თუნდა ღღე და ღამეს ასწორებდეს მუშაობით რომელიმე თაობა, შრომის შესაფერ ნაბიჯს ვერ გადააფრევიებს წინ ცხოვრებას. მიუმატეთ ამას ცუდი აღზრდა, ნაკლები მომზადება, ცხოვრებლადან თავისუფალი აზროვნების განდევნა და მაშინ ცხად

იქნება, თუ რათ არის ღღეიანდელი ჩვენი ახალითაობა უფერული, უნაყოფო.

ფაქტის ახსნა და მისი გამართლება სრულბოთაც არა მგონია ერთი და იგივე. რა მიზეზებიც უნდა მოუპოვოთ ჩვენი ახალთაობის უმოქმედობას, უფერულობას, ასეთი მოვლენა მინც სამწუხარო იქნება თვით ახალთაობამ უნდა დაიცვას თავისი ღრსება, უკეთ შესწავლოს ჩვენი ცხოვრება, რომ შემაჩნოს სიმძელი მომავალი, და ამ მომავლისკენ გაეშუროს მთელი თავისი ძალდენობა. ჩვენი ცხოვრების ამღვრევა საუკეთესოთ თავდებია, რომ ჩვენი ხალხი წინ მიდის. ჩვენმა ახალთაობამ უნდა ხელი შეუწყოს მას ამ წინმსვლელობაში, სიმძელი მომავლით გაიმხნეოს გული და გაეშუროს წინ. რა ვუყოთ, რომ ის ღღეს და ხვალ ვერ იხილავს თავის შრომას დაგვირგვინებულს? რა ვუყოთ, რომ ის ღღეს და ხვალ ვერ შედგამს ფესს უკეთეს ცხოვრებაში? სამაგიერათ მისი შრომა მოახლოვებს ამ უკეთეს მომავალს და ეს საქმარისია, რომ ახალთაობამ უკუავდოს კერძო ბედნიერების ვიწრო ფარგლები და კვალში ჩაუღდეს საზოგადო საქმეს, საზოგადო კეთილდღეობისათვის იზრუნოს.

ივ. გომართლი.
(დასსრულია იქნება)

წერილები საფრანგეთიდან.

ღღეიანდელი პარტიები და მიმდინარე პოლიტიკა.
(შემდეგი 1)

ანტისემიტური პარტიის ხსენებაზე რომ ორიოდ სიტყვა მინც არა ვთქვით ელუარდ დრიუმონზე, ეს დანაშაული იქნება. თუ გერენი პრაქტიკული რაინდია ამ პარტიის, დრიუმონი სამაგიეროთ თეორეტიკული ბელადია. იგია ანტისემიტების „სოციოლოგი“, „ისტორიკოსი“ ტეფილოსაფოსი“. მის პიროვნებაში საუცხოვოთ არის შეერთებული კლერიკალიზმი, მონარქიზმი და ანტისემიტიზმი. დრიუმონის ვასაცნობათ საქმათა ორიოდ სტრიქონი მოვიყვანოთ ერთი მისი ახალი სტატიიდან. სტატია გამოწვეულია იმ ამბით, რომ პრინც ვიქტორს (სამეფო ტახტის მამიებელი ბონაპარტისტული პარტიის შეფი) წამოცდენია ანტისემიტებს არ ვეულონო. ეს ამბავი საქმათა იყო, რომ პრინცის წინააღმდეგ ამხერებულყო ანტისემიტების „სოციოლოგი“. დრიუმონი ეუქტრება პრინცს, რომ ანტისემიტების გადადგობა მას იფათ არ დაუჯდება, რომ „სრულიად ჩამოეცლება ის ერთგული მასსა, ვინედაც ღღემდის მომჯადოებელი გაეულენა ჰქონდა ნაპოლეონის სახელს“. ვინაიდან ყვე-

1) იხ. „კვლე“ № 5

ლა ქვეშარიტიზმანაპარტისტები ინსტინქტიურათ, გულის სიღრმემდის ანტისემიტები (ურთის წინააღმდეგენი) არიან, მათ გულით ეზიზნებათ ურია, რო-მელმაც დასცა ჩვენი ქვეყანა იმ სიმაღლებმდის, როგორშიც ვხედავთ დღეს. ავტორი იგულისხმებს რესპუბლიკანური წყობილების დამყარებას. უნდა შევნიშნათ, რომ საფრანგეთის ყველა რე-ვოლიუციების და კერძოთ დიდი რევოლიუციის მიზნათ ღრიუმონი ასახელებს ურისა. დასამტკიცებლათ მოჰყავს სხვათა შორის ის ფაქტი, რომ მარატი ურია იყო. „მე ყველა ამავებზე ვლაპა-რაკამ—განაგრძობს ღრიუმონი—სრული მიუღვამ-ლობით, მხოლოთ და პარტო ფილოსოფიური და სოციალური თვალთა ხედვის წერტილიდან... მე აზროდეს არ ვუშვებ ხელიდან მწერლის როლს, ჩემი მოვალეობაა აფუხსნა და დავანახო ჩვენი სა-ქმის ყველა მეგობართ, რომ მთელი თანამედროვე მოძრაობა ტრიალებს ურის გარშემო, რომ ყვე-ლაფრის ნამდვილი ცენტრი არის ურია და, რომ მას უქირავს თავის ქურდ ხელეში ყველაფრის ძაფები“ („La libre Parole“, № 2824). რომ, კერძოთ, მუშათა მოძრაობაც ურის მივლინებულ-ლია, ამის უტყუარი საბუთი „სოციალოგია“ აზ-რით არის ის გარემოება, რომ პარქსი ურია იყო, და თუმცა საფრანგეთის მუშათა მოძრაობის შესა-ნიშნავი ხელმძღვანელი გედი და ლაფარგი ურიე-ბი არ არიან, მარა ეს სულ ერთია—ამბობს ღრიუ-მონი—„კლებათ მაინც ურის ქალენი ჰყავთო. ერთი სიტყვით ღრიუმონი და, საზოგადოთ, ანტი-სემიტების პრესსა ბევრ საოხუნჯო მასალას იძლე-ვიან. მათ გახეთქებში ზშირათ კითხულობთ ასეთ განცხადებებს: „ფრანგებო! მიატოვეთ ურიები, ივაქრეთ ჩვენთან; „პატიოსან კათოლიკებს“ და „გულწრფელ ანტისემიტების“ სინდიკატი ჰყიდს საკუთვსო ვრობას, ღვიროს, ყავას, საათებს, შლი-პებს, ღურბანდებს და სხ.

კლერიკალები და ანტისემიტები არამც თუ ვაქრობენ, ისინი პოლიტიკასაც ერთათ აკე-თებენ. ხოლო კლერიკალები სრულებითაც არ ვერდებიან ანტისემიტების მოკავშირეობას. ისინი თავის ბანკში აერთებენ ყველა რეპუბლიკურ პარტიებს. კლერიკალები პარტიანა ანტისემიტების, მონარქისტების და ნაციონალისტების შემარჯუ-ბელი და უმადლესი მფარველი. კლერიკალები თავის ბაიარად ქვეშ იწვევენ საფრანგეთის ყველა „სა-უკეთესო შვილთ“ და „ქვეშარიტ პარტიოტებს“. პარტიის მიმდევართ ცალ ხელში უქირავთ ჯვარი, მეორეში ხმალი და... ომობენ. როგორც ყველა ომში, აქაც არიან, რასაკვირველია, დაჭრილნი და დახოცილნი. ღერუღვი, ბიუფე და გერენი პარ-

ტიამ უკვე შეიტანა წამებულთა სიაში, სადაც მსხვი-ლი ასოებით არიან ჩაწერილნი მიორი ესტერპანი და პანარი. (დღეიფუსის პროკუსის მსხვერპლნი). პარტიის პრესსა ამხნევებს მეომართ გული არ ვაი-ტებონ უკანასკნელი დამარცხებით და ჩვეულებ-რივი გატაცებით განაგრძონ ბრძოლა.

ვის წინააღმდეგ არის გამოცხადებული ეს „ჯვაროსანთა ომი?“ ვაგწინჯოთ ცოტა ახლო თუთ კლერიკალური მხედრობა.

კლერიკალები—როგორც იცით—ალიბრენ ქრისტიანულ (კათოლიკურ) სარწმუნოებას და უწინარეს ყოვლისა იგინი ამ რელიგიაზე უთითე-ბენ ყველას. მარა კლერიკალები სრულებითაც არ წარმოადგენენ რელიგიურ პარტიას, ასე რომ იყოს იგინი სრულიად უყურადღებოთ იქნებოდენ მიტო-ვებულნი, მათი არსებობაც კი არ ვცოცხლებოდა ქვეყანას. დღეს კი მათზე ყველგან ლაპარაკობენ. დიდი თუ პატარა, სუსტი თუ ძლიერი, რეპუბლი-კური თუ ოპორტიუნისტური პარტია, ყველა ასეთ თუ ისეთ ზომებს ხმარობს მათ სასარგებლოთ თუ საწინააღმდეგოთ. ეს ასეც უნდა იყოს. კლერიკა-ლები შეადგენენ პოლიტიკურ პარტიას. რელიგია მათთვის მხოლოთ და მარტო საშუალებება პოლიტი-კური მიზნების მისაღწევათ. დღევანდელი კლერი-კალები არ არიან იმ კლერიკალიზმის მატარებელ-ნი, რომლის წინააღმდეგ ასტეხეს სახელგანთ-ბრძოლა მე 18-ტე საუკუნის ფილოსოფოსებმა და ენციკლოპედისტებმა, რომლის წინააღმდეგ იბრძო-და თვით რევოლიუციონური ბურჟუაზია.

დღევანდელმა კლერიკალურმა პარტიამ პირვე-ლათ თავი წამოჰყო ამ საუკუნის (ე. ი. 19-ტე) მე-30-დე წლებში, როცა ბურჟუაზია უკვე საკმაოთ გამაგრებული იყო. ახალი საზოგადოება ძირითადათ განსხვავდებოდა ძველ ფეოდალურ საზოგადოები-საგან. კლერიკალები ამ უნდა შეთვისებოდენ ახალ ცხოვრებას ან ფეოდალებს ჩაჰყოლოდენ სამარეში. იმათ აიჩიეს პირველი. ძველ საზოგადოებაში მათი ადგილი იყო მაშინდელ გაბატონებულ კლასის სუფრაზე, მაშასადამე ახალ საზოგადოებაშიც ასე-თივე ადგილი უნდა მოეპოვათ. და იი კლერიკა-ლებმა გადაიძირეს არისტოკრატიული მანტია და ვაგვიცენ ბურჟუაზულ ქურტქში. თავისი საკრავი ააწყვეს ბურჟუაზულ საგალობლებზე. თავის ფსალ-მუნებში ჰგალობდენ ბურჟუაზიის ქებათა-ქებას, რა-და საკვირველია, რომ ბურჟუაზიაშიც მათ წინაშე მოკრძალებით დაიჩქა და სასოებით მიამახა „შენ გეგლობო“. ამ შეწვევი კონცერტში ხანდასმით მართალია, გაისმოდა ხოლმე და გაისმის კიდვე დისსონანსი, მარა მოგვხსენებთ, ზოგჯერ საუკე-თესო კონცერტანტებმა განგებაც კი ხმარობენ დის-

სონანს. ბურჟუაზიის და კლერიკალების დისონანსი, უთანხმოება, დავა-ბაასი, ყოველთვის იყო შინაური, საოჯახო დავა-ბაასი. კლერიკალები ისე ებყრობიან ბურჟუაზიას, როგორც უფროსი დაბრძენებული — უმცროსი, ვიფ-მაე ამხანაგს და მეგობარს. ის უძრახავს მას ლიბერალურ დემოკრატიულ ტენდენციებს (მიდრეკილებას), არიგებს, რომ ფრანკილათ მოეცქეს განსაკუთრებით დემოკრატიულ იდეებს, რომ დემოკრატიაში იფარება ორივესათვის საშინელი განსაცდელი. მარა ზოგი ტრადიციების (ისტორიულათ შეთვისებული მიდრეკილებანი) და ისტორიის უღმამელო მოთხოვნების გავლენით ბურჟუაზია ყოველთვის ვერ ახერხებს დამრიგებელის ერთგულებას. ხან პირდაპირ მის წინააღმდეგაც ებრძოდნენ. მაგ. მე-80-ცე წლებში რადიკალურმა მთავრობამ (გრევის პრეზიდენტობის დროს) ვარცა საფრანგეთიდან ნება დაურთველი „კონგრეგაციები“ (კლერიკალური ორგანიზაციები) და იესუიტების კოლონეები (კრებულები), კლერიკალები მაშინ გაეყარნ მთავრობას და ცდილობდნენ სამაგიეროს გადახდას. მარა გაყრა დიდხანს არ გაგრძელბულია. მე 90-თე წლებში კლერიკალებმა რაკი დაინახეს რომ ბურჟუაზია აღარა ფიქრობდა რესპუბლიკანური მთავრობის მიტოვებას — შეურიგდნენ რესპუბლიკას, სიტყვიით რასაკირველია; ზოგმა მათგანმა სახელათ დაირქვეს „ლიბერალები“. პაპმაც, ლეონ მე-XIII-მ, დასტური მისცა (1893 წ.) „შეურიგებთ კონსტიტუციას, რომ უკეთ იმოქმედლათ კანონმდებლობაზე“. კლდე თანხმობა და კვლავ მწყობრი კონცერტი. კლერიკალებმა პარტამ ფრთა გაშალა. დღეს „კონგრეგაციების“ რიცხვი 1,468-ა; მარტო ბერების რიცხვი ორასი ათასამდე; კლერიკალების ნაწილსავალი უდრის ათ მილიარდს; ერთობ დიდი მწიფი უფიფთ სხვილ საფარიკო მრეწველობაში; მათ ხელშია მიგონსტრატული (ე. ი. უმბლდესი ჩინოვნიკობა). ივინი აძლევენ აღზრდა-განათლებას აფიკრობა-გენერლობას. მის ძლიერ გავლენის ქვეშ არის როგორც ჯარი, ისე ფლოტი. ფხებს იკიდებენ სადაც კი დარჩენილა უმქრება. ერთი სიტყვიით რვაქციამ აბლაბუსავით მოღვა თავის მომაკვდივებელი ქველი მთელ ოფიციალურ საფრანგეთს საზოგადოა, კერძოთ მივარდნილ სოფლების გლტობას, ჭქალაქებში რამდენათმე წყრილ ბურჟუაზიას. არც მუშათა ბავშვები არიან თავისუფალნი მათი გავლენისიგან. რომ უფრო მარჯვე იყოს და ხერხიანი ეს მოქმედება, რვაქცია სხვა და სხვა სახელებს ირქმევს, სხვა და სხვა პარტიებათ გამოიღის. ხოლო მოქმედებენ თანხმობით, აკეთებენ ერთსა და იმავე საქმეს.

რეაქციონური პარტიების ხელშეუხებელი მუშაობაა მილიტარიზმი და შოაინიზმი (მეფე პარტიოტობა). მათი პირველი მცნებაა ჯარის (არმიის) გაძლიერება, აფიკრობა-გენერლობის თაყვანისცემა და გაძლიერება. ამ მიზნის მისაღწევათ მათ კარგათ ისარგებლეს რევანშის (სამაგიეროს) გადახდით იდეით. საფრანგეთმა რომ 1870 წლის ეროვნული სირცხვილი (პროვინციების — ელზას-ლორენის დაკარგვა) ჩამორგებოს და მოსისხლე მტერს გერმანიას სამაგიერო გადაუხადოს, საჭიროა ჯარის, რაკ შეიძლება, მეტი გაძლიერებოა — ლადადებს რვაქცია და უთითებს თავის დროშაზე, რომელზედაც უწერია: „ერის დაცვა“, (la defense nationale) „საფრანგეთი ფრანგებს!“ მართალია ფრანგებს საფრანგეთს არაფერს ართმებს, მარა ამგვარი წარწერა, ისე როგორც რევანშის იდეაც, — საჭიროა რვაქციონერებისათვის, რომ თავისი თავი მოაჩვენონ ხალხს მწერთო, ყველა ფრანგების კეთილდღეობისათვის მებრძოლეთ და ეროვნული სახელისა და დიდების დამცველათ. იმის გასაგებათ თუ რაკ ჯურისსა მათი პატრიოტული მოღვაწეობა, ეროვნული სახელისა და ამპარტუნების დაცვა, საინტერესოა აღენიშნათ როგორ ამხედრდენ ამას წინათ ეს ვაებატონები ინგლისის წინააღმდეგ. დღევანდელ ინგლის-ტრანსკვალის შეტაკების გამო შეადგინეს, რასაკირველია, ცალკე კომიტეტი, სახელწოდებით „სამხრეთ აფრიკის რისპუბლიკათა კომიტეტი“. წევრებათ შევიდენ ყველა რაინდები: ფრანსუა კოპე (დერულებდის სასახლის მოღვექვე) დრიუმონი, მიღეუა (ნაციონალისტურ გაზ. la Patrie-ის რეაქტორი). ცნობილი რომეორი, ჟოულ ლემეტრა და სხვანი. იმათმა პრესამაც შესაფერათ მოაწყოა ქანარი: ინგლისი ბუღეა ყველა სისამაღლის, ინგლისი ბარბაროსული ქვეყანაა, მას წლიი აღარ უნდა ედვას განათლებულ ქვეყნებ შორის, უნდა ამოიშალოს დიდ სახელმწიფოთა კარტიდან. გერმანია ნამდვილი განათლებული ჭ დაწინაურებული ქვეყანაა. საფრანგეთი მასთან მოკავშირეობაზედაც არ იტყვის უარს, თუ გარემოება მოიტანსო. გარემოება მათი აზრით შორს არ იყო. რეაქციონური პრესა მთლილობად დაერწმუნებია თავისი მიკითხვებები, რომ გრაფ მურავიოვის უკანასკნელი მოგზაურობის ერთათ ერთი მიზანი იყო ფრანგ რუს-გერმანელთა კავშირის შემზადება ინგლისის წინააღმდეგ.

საფრანგეთის რვაქციის რომ ინგლისი ევაგერბოდეს, ეს არ არის საკვირველი, რადგან ინგლისი ყველა ევროპის სახელმწიფოთა შორის უფრო ლიბერალური, უფრო თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანაა. მეორე მხრით, თუ რვაქცია

ამხედრდა ინგლისის წინააღმდეგ, რასაკვირველია არა ბურჟუაზიის დასახმარებლათ, არამედ საკუთარი კლასისური ინტერესების სასარგებლოთ. მისი სურვილია რომ მსუქანი ლუკმა—სამხრეთ აფრიკის ფართო ბაზარი და მდიდარი ოქროს მადნები ინგლისს კი არ დარჩეს, არამედ თითონვე იგდოს ხელთ. თუ ვინიკობაა, გერმანიას აღერისის თინი მოუვლის საფრანგეთისადმი, რეაქცია მსუქანი ლუკმით მადა აშლილი თავის „მოსისხლე მტერს“ (გერმანიას) ორივე ხელს მოხვევს, როგორც საყვარელ მეგობარს. ასე რომ რევნუშის იდეაც მათთვის მხოლოდ ლუკმის კითხვა ყოფილა. აგრეთვე „საფრანგეთი ფრანგებს“ აღნიშნავს: საფრანგეთის სიმდიდრე, საფრანგეთის პროლეტარიატი ფრანგ ბურჟუაზიას შესაქმნლათ, და ამასთანავე უცხო ქვეყნების, უცხო ტომის სიმდიდრე და შრომაც უსათუთოთ ამავე ბურჟუაზიას...

ღიახ, რეაქციას კარგი მადა აქვს, მარა მისდა საუბედუროთ, თუ საბედნიეროთ, ის მარტო არ არის ამ ქვეყანაზე. მადა სხვასაც აქვს, ჰემა სხვასაც უნდა. არსებობისათვის ბრძოლა შინ და გარეთ აიძულებს რეაქციას, მიმართოს ყოველსავე საშუალებას მეტოქეთა მოსაგერებლათ. უკეთესი საშუალება და უკეთესი გზა კი—რომელზედაც უკვე დგას რეაქცია—არის პოლიტიკური და მოქალაქეობრივი თავისუფლების მეტი შევიწროება, დემოკრატიული იდეების მეტი დევნა და ბოლოს—თუ შესაძლებელი იქნება—თავთ რესპუბლიკანური მთავრობის დაწყობილების მოსპობა.

რალას აკეთებს თვით მთავრობა, რას წარმოადგენს რესპუბლიკანური პარტია?

ლ. ლ.

მახი წლის წინმით *

(ძველი მამასახლისის ნაშრომი).

გაიორგი წერეთლისი.



ალობა რომ გაათავა, ნამამახლისარმა ასე დაიწყო:

— მოგესხნებათ ბატონ-ყმობას შემდეგ ბევრ ხანს არ გაუელია; გლხებებს მიენიჭათ საკუთარი სამართალი და გამგეობა. ხმა გავარდა, რომ ღიამბეგობა უნდა მოიშალოს და გლხებებს მიეცემით უფლებმა, ვინც მსურთ ის ამოირჩიონო მამასახლისათო. იმას პომოშნიკები ყუალებმა, ისინიც ამოარჩევით ვანწყესდებიანო. მამასახლისით თავის სასოვადოებაში ღიამბეგის მაგიერი იქნებარა, რაც უნდა იმას

იქსო. ვთქვი გულში, გამითენდა აღდგომის წესი. შინვე შევეუდღევი თავდარიგს. ტანსაცმლით და ორალით კეთილშობილთან ვერ გამარჩევა კაცი: მე ვახლდით დიდი ბატონის თავადი ს. ა.—ლის ოჯახში ვაზრდილი. მართალია, როცა პაწაწა ვიყავი, ასე ხუთი ექვსი წლისა, შინაური და გარეული ყველა მომძახოდა: შენ რატომ ხარ შეილოვო. დიდხანს ვერ მივხვდი, ასე რათ მომძახოვნი: თულის არ მპყლდა და კოჭლი არ ვიყავი. სხვები თუ კანონიერი იყვენ, მე რატომ არ უნდა გყოფილიყავი კანონიერი? ხანდახან ამ ლაპარაკსაც მოვკრავდი ყურს, ვითომც მე ნამდვილათ დიდი ბატონის შვილი უნდა გყოფილიყავი, მაგრამ ეს დედა ჩემი რომ არისაღ ჩნდა, ძალიან მეკვირვებდა, არც გვარი მქონდა მისი შვილების; მიწოდდა, ძალიან მიწოდდა რომ ჩემთვისაც ბატონი შვილი დაეძახათ რომ მეც ოღაში დავეწვიეთ ჩემ ძმებთან; მაგრამ ამ პატონისცემის მაგიერათ, ვინც წამეწვოდა ყველა თავში მიტყაპუნებდა. ვიყავი სამოახლოში გაგდებულთა, დვტანტალომდი მარტო პერიანგის ამარა და ცუცხლოთან ნათციბი ტიტველი წვიმები ნიადე დასურულები მქონდა. ძალიან უკმეხი ვიყავი. რაც უნდა გავეცახეთ, თვალებიდან ცრემლი არ გადმომვარდებოდა. დიდი ბატონის შვილებს მუდამ მე ვათამაშებდი. ცოტა რომ წამოვიჩტიდი, დიდმა ბატონმა ყურადღებმა მომაცქია, ჩამაცვა, დამხურებდა. ქალბატონთან პირფარეშით დამაყენა. სიმარჯვეში ერთი ფარეშიც ვერ მეჯობინდა. დიდი ბატონი ძალიან ცდილობდა ჩემთვის აზნაურის ტოტი ეშოვნა, მაგრამ ვერა მოახერხა რა, დევიჩნი წრეს გარეთ. არც აზნაურებში ვიყავი, არც თავიღებში, გლხობას კი ვერაიენ გამიბედავდა.

ცხონებულმა დიდმა ბატონმა მოხდენილათ გამომაწყო ჩერტეხული ტანსაცმლით, დამკიდა თავის ნაქონი იარაღი, შემსვა კარგ ლაფმაზე და გამხხადა თავის საკუთარ მხლებელათ. ჯირითი, სიმღერა, გლოობა და მოღებენა ჩემ ხელთ იყო. პრეულათ დარდი არაფრისა მქონდა, მაგრამ ცხონებულთი დიდი ბატონი რომ გადამეცვალა მერე დაუფუქტრდი ჩემ მღღობარეობას. თუმცა ბატონის ოჯახი ჩემთვის დიდი ნუგეში იყო, მაგრამ ამასაც ვფუქტობდი, ვინ იცის დღეს რა მოაქვს, ღამეს რა მოაქვს, მდინარეს რა მოაქვს, ნიადღარს რა მოაქვს მეთქი. რადგან კარვარეთ დარჩენილს ვეგენდი, ცოტ-ცოტათ შევეუდღევი საჩო-საბადებელის მოპოებას.

აი ამ დროს შექმნა გლხეობაში ლაპარაკი, ახალწლიდან მამასახლისები უნდა ამოარჩიონო. მაშინვე თავში გამიელვა:— ან მამასახლისათ უნდა გავხედე, ან კაცი აღარ ვიქნები. აზნაურობის ძიებას თავი მივანებე და ჩემი სოფლის სასოვადოებაში

*) იხ. „ქალის“ № 6.

ხავეწრე-სახლ-კარი კარგი მქონდა სულ ჩემი მარჯვენით მოპოებული. ჩემ სოფელში ბიჭი არა მჯობდა, ვერც ჩაქმა—დახურვით, ვერც მოხერხებით და ვერც გავლენით. დიდი ბატონის ნაყმევები სულ მე შემოპტირადენ. ზოგს დადგლის შეყიდვა უნდოდა, ზოგს თავის დასნა, ზოგს სამოსალო ფულის პატრება. თითო ოროლა მანათს ყოველთვის ვარჩობდი ვასამრიგოს. დიდ ბატონს რომ ვიხებოდი, მას აქეთ ფული ჯიბეში არ გამოძლეოდა და მასთან გლვებშიც ძალიან მომადლიერებულნი მყავდენ. რალა ბევრი ვივაგრძელო, სანამ დიდ ბატონს ვახლიდი, პატარა ბატონს მემბახოდენ. რაკი მამასახლისობის შოენა ყურში ჩამეწვეთა, შემიღვინაზე ფიქრი არც დღე, არც ღამე მოსვენებას არ მძძლედა.

ჩემნი ერთი თავადის შვილი იყო დიდი ხნიდან ღიამბევათ დაყენებული; მაღალი, შოლტივით ამართული კაცი იყო და სულ სირმით გატყუაპული დაიარებოდა. წვერს ყოველ დილით იხებდა და მის მოკრეტულ პირს შვიდ ვაჭკინებულო უღოვამები მუდალ აშენებდა. ღამაზე ქალები ძალიან უყვარდა. საცა კი თავალს შეასწრებდა, ის იყო. ვაგამანა მწყერი აღრე თუ გვიან მის მახეში არ გაბმულიყო, არ მოხერხდებოდა. ხუთი, ექვსი იასაული ნიადაგ თან დასდევდა: ერთს უძახოდენ მანდილოსანთ მალამოს, მეორეს—მოხონელთ მოკიქულს, მესამეს—მასპინძელთ უხუცესს, მეოთხეს—მეძღვნიე მორიგება და სხვ. რომელ სოფელშიაც მდივანბეგი განიზრახავდა მიბძანებას, იქ ერთი დღის წინათ განდებოდა იასაულეში. მანდილოსანთ მალამო ამოარჩედა საუკეთესო ღამაზე ქალს იმ სოფელში. ღიამბევისგან ჰქონდა დაბარებულ: ქალი ისეთი უნდა იყოს, ღოყებზე რძე ვაღმდიროდეს და ტურბეტზე ვარდი ეშოვებოდეს. მოხონელთ მოკიქული ტყობულობდა ვის ჰქონდა მდივანბეგთან არხა მისართმევი და ყოველ ამისთანა კაცს ჰქონთავდა: საფანელი ხომ არ გაქლიათა. საფანელს ეძახდენ მიკორ რამე შესაწირავს ან წითლიანს, ან ცისფრიანს და ამათ ზედ უნდა დამატებოდა ყვითლიანი ვასამრიგლო. ეს უქანასწენდი იასაულის ტრებში ჩადოდა. უსაფანლო ვერა ვითარი არხა და თხოვნა ნაყავს ვერ გამოიღებდა.

მასპინძელთ უხუცესის მოვალეობა იყო, რომ ყველაზე უფრო შეძლებული ოჯახი მიეწერა: თავადი იქნებოდა, აზნაური, თუ გლეხი, სულ ერთი იყო. ღიამბევის და მისი ამბლის რჩენა ამ ოჯახს უნდა ეტვირთა. ამას გარდა სატრფიალო და მოსაიღუმლე ოთახიც ექვე უნდა ყოფილიყო ვაწყობილი. ძღვენთა მორიგეს განკარგულებაში იყო ძღვნის მიღება და გლეხების დარბევა, რომ ბ-ნ ღიამბეგთან ისე არ ვაგებენათ მისვლა, ხელი არ დაეშენებინათ; ხელის დაშენებას იასაული ეძახდა ძღვნის მოტანას.

ბ-ნი ღიამბეგი მუდამ მგზავრობაში იყო, დღეს ერთ სოფელში მივიდოდა, ხვალ მეორე სოფელში, ხვტ—მესამეში—და ამ რიგათ დროს გატარება ჰქო-

ნდა ბატონური. იმ ქვეყნის ბატონი ის იყო, ვინც მართლაც, ბატონს უძახოდენ.

რადგან ღიამბეგის მავიერი მამასახლისი უნდა ყოფილიყო, მე წინ-დაწინვე შევეუდგე ღიამბეგის მიბძანებას. ასე გაშინჯეთ, მის გარეგან მიხერა-მოხერასაც ვსწავლობდა: ან მიხონელნი როგორ უნდა შეგებრისხა, ვინცობაა საფანელი დაქცეობდა, ან ღამაზე კოლის მყოფლისათვის რა საქმე უნდა ვაძეგნა, რომ სამი ოთხის დღით ოჯახს ვარეთ ვაძეგნა ხანი.

ამისთანა მოქმედების მეტი თუ რამე მოვალეობა მიუძღოდა ჩემ მომავალ თანამდებობას საზოგადოების წინაშე, იმას როგორ წარმოვიდგენდი. სამავალითათ ჩვენი ღიამბეგი მყავდა და წითლიან-ცისფრიანებს წინ-დაწინ ვითვლიდი. ასე შეგეტრფოდი გულში ჩემ მომავალ თანამდებობას.

ბოლოს დიდვა ჩემთვის ეს ბედნიერი წამი. მოვიდა მოურავის პოპოშნიკი, შეავტრავა სოფლის ხალხი და გამოვიცხადა დიდი ხელმწიფის მოწყალება: თქვენ ამერიდან გეძლევათ თქვენი საკუთარი სოფლის სამართალი და, თქვენ იცით, როგორ ჰქუიან კაცებს ამოიუწვევო. ამ სიტყვებმა გულის ფანქვლი მომგვარა, იმედი მქონდა, რომ პირველ კატინტატთ მე დამასახლებდნენ.

ხალხი ვაგილ—გამოვიდა კანკლარიის განიერ ეზოში, შეიქმნა ღამაპარკი, ვინ ამოვარჩოთ და ვინაო? ჩემზე ძალიან ცოტანი სულაპარკობდენ. დაასახლეს ორი სამი კატინტატი, ლალ სახელმწიფო გლეხები. დახედეთ გლეხის უმადურობას, ჩემზე კარგს არავინ ღამაპარკობდა: ასე გაშინჯეთ, ჩემი ბატონის ნაყმევნიც კი უკლათ მიხსენებდენ. ვის-ვანაც თითო-ოროლა მანეთი ამელო ჩემი ბატონის დროს, ყველამ ეს ცხვირში ძმრათ წამომადინა: მექრათბე დამარჩევე:

—თუ რამე ხერხი არ მოგდევთ აქ, ცუდად არის ჩემი საქმე—მეთქი. ვიცოდი ორი—სამი ძალიან მყეირალა და ჰიქყინა გლეხები; ვაგინმე განზე ისინი, თითოს ჩაუდევრე ჩუმათ ხელში ხუთ-ხუთ მანათიანი. მოგეცა სიცოცხლე, ამათ სცეს ბუჯი. გლეხების კატინტატები ყველა ჩაჰქოლეს. მუდამ ყვირილმა და ერომანეთში არევე—დარევეამ ძალიან დაღალა ხალხი. დილიდან დაწყებული მზის ჩასვლამდის სულ კატინტატების რჩევაში იყვენ, ჩემმა მოყილუმადა კაცებმა ყვირილით და ჰიქყინით ჰიქყურობა აიკლეს. აღარავის ხმა არ ამოადღებინეს. ხალხი ღიამბე. ზოგი ერთი ისე დაიღალა, რომ პირ-პირ ენას ვეღარ იბრუნებდა. აწი მათთვის სულ ერთი იყო, ვინც უნდა ყოფილიყო მამასახლისათ, ოღონდაც საქმეს ბოლო მისცემოდა და შინ წასულიყვენ. ამ დროს ვაგებულ და ერთი ძროხა შემოიტუხა ეზოში. ვიფიქრე მოდი ერთ შტუკას მოვიბმარა—მეთქი. ვამიგონეთ, ვამიგონეთ—დავიყვირე. ხალხი ვაჩუმდა. ჩემმა მომხრეებმა რომ ჩემი ხმა ვაიგონეს, იმათაც ხმა ვაგმინდეს. ძმებო, ეს დღე წავიდა და ეს არის.

— დაღამდა, დაღამდა.—ყვირა ხალხმა.
— ვინმე რომ არ ამოვარჩოთ, არ ვარგიათ.

— არ გვარგია.

— ბარემც, მოდით ასე მოაქექითა. — ყველანი ხმანათ ვაღიქვენ.

— მე ცოტა მოშორებით ვავდექი ძროხის პირ-დაპირ და დავიყვირე:

— ვისაც ჩემი თავი მამასახლისათ გინდათ, ჩემსკენ წამოდით, ვისაც მეორე კატინტატი გინდათ იმ ძროხასთან მიდით. — თითოთ ვუჩვენე. ხალხი შეჩერდა.

ვიცოდი, ყველას ეთაკილებოდა ძროხასთან მისვლა.

— რას ვაჩერებულხართ—მეთქი, ვინაც ჩემი ხართ, ჩემსკენ წამოდით, ვინც არა, ძროხა იჩიოს.

ჩემმა მომხრეებმა დაიძახეს: ჩვენ შენსკენ მოვალთ და ვისაც წინააღმდეგობა გინდათ, წავიდეთ. იხილა ამდენმა ხალხმა და ყველა ჩემსკენ ვაღ-მოვიდა, მარტო ჩემი მოწინააღმდეგე კატინტატები დარჩა ძროხასთან. იმათ სიცილი დასაყრეს. მე მამასახლისათ ამომიბრჩეს. მოუთრავს პოპოშნიკმა გადამიცვა თავზე მამასახლისის ჯაჭვი, მომილოცა ახალი თანამდებობა. ხალხმა ურა დაიძახა და დამაშალა. მე სიხარულისაგან ამ სოფლათ აღარ ვიყავი. მაშინვე ისეთი გავიჯგიმე, რომ ჩემი დამბეგვი წარმომიდგა თვალწინ.

მესამე დღეს დღით აღრე მივედი სოფლის კანცლარიაში, კისერზე ძველი შქონდა ჩამოგდებული; მამასახლისობის ცინცხალი ყუთიელი მენდელი გულზე მივკლა და ზედ ზმირათ ვიხედებოდი. ჩემი პოპოშნიკებიც გამოცხადდნენ.

მე მდივან — ბეგური მდიდურობით ვადაეველე იმათ თვლი, მწერალს ხელი ჩამოვარტვი: შენ იცი, კარგი ხელით და ვამოთქმით როგორ მასახლებ; ჩვენმა ბარათებმა ქვემო უნდა დახეთქოს მეთქი.

— ამ ჩემ კისერზე იყოს; შენ მხოლოდ მარჯვეთ იყავით. თვალი მიქნა და თითებში ვააცემასკუნა. მივხიდი, რომ წითლიან-ცისფრიანზე ვაღმომპრა და მეც თვალი ვუქნიე. ამ დროს ერთი კვილი-ჩივილი შემომესმა. გამოვვარდი ვარეთ და შევეხდე: ერთი მოხუცებული დედა-კაცი წელში მობლუნძულა, ხელში უშველმებელი ქვა უქირავს, მიმეთ მოდის და მოჩივის. დამინახა თუ არა, იქვე დავარდა მიწაზე და ასე შემომჩილა: მიშველე, მამასახლისო, მომკლეს, მომკლეს; ჩემი აშორა რძალი დამხვდა ორობეში და ეს უშველმებელი ქვა მუხურზე წელზე. შენ გენაცვალე, მამასახლისო, მომარჩინე იმ წყელისაგან: ჯერ შვილი გამობრძევა, წამართვა და ახლა მე მიპირბობს მოკლასო.

მე მდივან-ბეგვით ხელები უკან დავიდდევი, ერთი ლაზითანათ ვავიჯგიმე, თვლები ვაღმორბოაწე. ცერზე შემოვტრიალდი და მივეცი ბრძანება ერთ პოპოშნიკთაგანს: ახლავე წადი, შემიტყე ყოველივე ვარემოცება და მომასხენე. წადი, დედაო, წაჰყვი ამას, ნუ გეშინიან, მე მოვთოკავ იმ შენ რძალს.

გულში ვავივლე, აი, ეს კარგი შემთხვევაა—მეთქი. ეს პატარადლი ის კაპუტი ქალი იყო, რომ

მელზედაც მე დიდხინა თვალები მარჩბოლდა. მწერალს რომ შევეხდე, იმანაც თვალი მიქნია, მეთქი, სწორეთ-ამასაც თვალში წყალი ჰქონია მეთქი; ცოტა არ იყოს მეწყინა და თვლი მოვარდიე, ვითამც არ შემიწინააღმდეგებოდა...

ეს მოხუცებული დედა-კაცი რომ გავისტუმრე, შევეხდე, იხალუს კანვერტი მოაქვს. ტანში გამაცვია, ვინ იცის, რა წერია მეთქი. მე არც რუსულის კითხვისა და წერისა, არც ქართულისა არა ვამეგებოდა—რა.

იხალუს ჩამოვარტვი კანვერტი და ძალა-უნებური ღიმილით გადავეცი მწერალს. იმან ვახსნა, ამოიკიხას: უფლის ნაწალნიკი ვებარებს; ახლავე აქ გამოცხადდით. ამ სიტყვებმა კიდევ უფრო ამიბუძგა თმა. წარმომიდგა თავში, ვაი თუ ის შეუტყობია, რომ პატარაძლე თვალედი მრჩება და ბორტავანზახულისათვის დამსაჯოს მეთქი. უფრო იმისი მეშინოდა, რომ ჩვენ უფლის ნაწალნიკს ქართული არ ესმოდა და მე რუსული, რომ მკითხოს რა ვუბასუბო მეთქი.

ზღრასტი, ზნაკომ, ვავიმარჯოს, კუდა იღოშ საითქნა—ს

თუ ვეტყვალთ, თორემ სხვა არა ვიცოდი—რა. ვეთქი თუ ბევრი დამირუსულა და საშველი აღარ მომცა, ვაგუბნდე კიდევ, ნინტო, ნაკაკო! ნუ გამიწყრები შენი მუხლის ქირიმე, მეტი არ ვიცი მეთქი. ესეები რომ მოვიფიქრე, მერე შევეჯექი ცხენზე და გამოვეშურე.

(შემდეგი იქნება)

ამოქვდა და ამ ცოტა ხანში გამოვა სამკალოვართა წიგნაკი

გიორგი წერეთელი

წიგნაკი შეიცავს ეგვალ ამ წიგნებს, რომლებიც კი დაბეჭდა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში განსვენებული მესხის; აგრეთვე ეგვალ სიტყვებს, რომლებიც მის საფუძველზე წარმოთქვა. წიგნაკს წართულა ჰქვს განსვენებულის სურათი.

თვითისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადანსწრებით, 15 თებერვალს, შუადღის 12 საათსე, დანიშნულია გამგეობის სადგომში სჯარათ ვაჭრობა, რომლით უნდა გაიყვან იჯარით ქალაქის სავსძათების გადაკეთების საქმე 3385 მანეთისა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, მუშედლიან განმარჯობს დაწერილებითი პირობები გამგეობის აღმძენებელ კანოფიელებში ეოველ დღე კვირ-უქმეებს გარდა დღის 9 სათიდან ნამუდღევის 2-მდე.

რედაქტორი.—გამომცემელი ან. თ.—წერეთლისა.